



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო პროგრამა - „კომპიუტერული მეცნიერებები“
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ): 20.09.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 07.12.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული მეცნიერებები
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მესამე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინფორმატიკის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტაციის ვადა ამოწურა 2022 წლის 4 აპრილს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის
² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაქსიმ იავიჩი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანი არაბული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით კაკიაშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ „კომპიუტერული მეცნიერებები“ აკრედიტაცია გაიარა 2018 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 4 აპრილის № 49, გადაწყვეტილებით).

2013 წლიდან 2018 წლამდე უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა სადოქტორო პროგრამა „მათემატიკური მოდელირება და კომპიუტერული მეცნიერებანი“. 2018 წელს პროგრამა გაიყო „გამოყენებითი მათემატიკისა“ და „კომპიუტერული მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამებად. 2019 წლის ივლისამდე პროგრამა ხორციელდებოდა მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. რეორგანიზაციის შედეგად გაერთიანდა მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი. ამჟამად პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტზე. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ისევე, როგორც მოწვეული კვალიფიციური პერსონალი ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ერთად. პროგრამა „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ აგებულია ევროპული კრედიტების - სატრანსფერო სისტემის შესაბამისად და მოიცავს 60 კრედიტს, აქედან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები 36 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები - 24 კრედიტი. პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მოხდა მისი გადამუშავება: დაემატა ახალი საგნები და მოდიფიცირდა დისციპლინების სახელწოდებები. პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

- სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამის შეფასება განხორცილდა ადგილზე. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა 2022 წლის 20 სექტემბერს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა პირისპირ, 20 სექტემბერს, რა დროსაც ასევე გადამოწმდა ბიბლიოთეკის რესურსები. შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან,

კურსდამთავრებულეთან და დამსაქმებლებთან. ვიზიტისას განხორციელდა შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული სადოქტორო ნაშრომების გადახედვა. დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები დროულად მიეწოდათ ექსპერტებს. შეხვედრების დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები გაეცნოთ დაწესებულების წარმომადგენლებს. უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრები დასრულდა დროულად და ჩაიარა მშვიდ გარემოში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერებები“ სტანდარტების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე და მეხუთე სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მეორე და მეოთხე სტანდარტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- სილაბუსებში („ფუნქციონალური დაპროგრამების სპეციალური საკითხები“, „ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება“, „დაპროგრამების თეორია და მისი გამოყენებები“) წარმოდგენილი სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N 69/ნ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.
- რეკომენდებულია ზუსტად განისაზღვროს გასაუმჯობესების ფორმატი და კომპეტენციები დარგის შესაბამისად და მიეცეს მას სავალდებულო სახე.
- რეკომენდირებულია საგნის, ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება, ძირითად საგნთა ნუსხაში გადატანა
- რეკომენდირებულია სილაბუსებში გასწორდეს წინაპირობები
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება“ შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების მესამე საფეხურის დონესთან
- რეკომენდებულია საგანი ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება ისწავლებოდეს NIST სტანდარტით
- რეკომენდებულია სილაბუსებში განახლდეს ლიტერატურა
- რეკომენდირებულია დოქტორანტმა ერთი სამეცნიერო სტატია გამოაქვეყნოს გამოცემაში, რომელიც ინდექსირებულია Scopus ან Web of science საერთაშორისო ბაზებში.
- რეკომენდირებულია განხორციელდეს შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად
- რეკომენდირებულია სტუნტებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება და ცვლილების შესახებ სტუდენტების წერილობითი სახით ინფორმირება

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის მინიმუმ ერთეულ ასლად არსებობა ბიბლიოთეკაში (არა პირატული ვერსიები);
 - რეკომენდირებულია სასწავლო პროგრამის მიმართულების მიხედვით რელევანტური სამეცნიერო ბაზაზე წვდომის უფლების შეძენა, რომ დარგში არსებული სამეცნიერო პუბლიკაციები ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის და აკადემიური პესონალისთვის;
 - რეკომენდირებულია ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს ტრენინგების (ინფორმაციის მოძიება; წყაროების სანდოობის შეფასება; აკადემიური სტილის საკითხები) მომზადების და შეთავაზების მიმართულებით, როგორც სტუდენტებთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან.
 - რეკომენდირებულია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა აქტიურად აწარმოოს პროგრამის ვადების მონიტორინგი, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების კუთხით, რათა პროგრამაზე სწავლების უწყვეტობა იქნას შენარჩუნებული.
 - რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ბოლო ორი ეტაპის „შეამოწმე, განავითარე“ ეფექტურად განხორციელება, კერძოდ, აკადემიური პერსონალის გამოკითხვების/შეფასებების გათვალისწინებით შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება.
 - რეკომენდირებულია პროგრამის შეფასებისას, გარე ექსპერტის მოწვევის დროს გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ალბათობა;
 - რეკომენდირებულია პროგრამის განხორციელების ეტაპზე ხდებოდეს სტუდენტების მიერ კონკრეტული სასწავლო კურსების შეფასება ყოველ სემესტრში, ასევე, პროგრამის შეფასება და აღწერილი შედეგების გათვალისწინება.
 - რეკომენდირებულია უცხოური ანალოგიების მოძებნა და პროგრამის დადარება
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - სასურველია დაიგეგმოს აკადემიური პერსონალისათვის შეფასების თანამედროვე მეთოდების სასწავლო ტრენინგები და სასწავლო კურსებში გაუმჯობესდეს შეფასების მეთოდების და კომპონენტების ნაწილი.
 - სასურველია გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო პროექტებში, ასევე განხორციელდეს აღნიშნული აქტივობების დოკუმენტირება.
 - სასურველია წახალისდეს სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობა სტუდენტთა სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობით და გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებში.
 - სასურველია სტუდენტთა მიერ სასწავლო პროგრამის შეფასების ინსტრუმენტის დანერგვა და გამოყენება მათი რაოდენობის მიუხედავად.
 - **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
 - **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა**

▪ **პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p>1.1 პროგრამის მიზნები</p>
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერებები“ (შემდგომში - პროგრამა) მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით ცოდნის გაფართოება, თანამედროვე კვლევითი, ინოვაციური, ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, ცოდნის განახლებული შესაძლებლობების გაცნობიერება. მეცნიერების სხვადასხვა დარგის აქტუალური პრაქტიკული პრობლემების კომპიუტერული გადაწყვეტა. • მაღალი პასუხისმგებლობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების მქონე დოქტორის აკადემიური ხარისხის, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, მათ შორის, უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სამეცნიერო კვლევას თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული და ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით. <p>პროგრამის მიზანში წარმოდგენილია ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები რომლის დაუფლებასაც შეძლებს პროგრამის კურსდამთავრებული. მიზნების აღწერაში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობა. თავის მხრივ, წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ტენდენციებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის მისია.

<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>„კომპიუტერული მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფლობს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ინფორმაციული სიტემებში უახლოეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, რაც კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;

- აცნობიერებს არსებული დაგროვილი ცოდნის ხელახალი გააზრებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში მისი გამოყენების გაფართოების აუცილებლობას;
- დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს ინოვაციურ კვლევებს კომპიუტერული მეცნიერებების თანამედროვე კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რაც აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- კრიტიკულად აანალიზებს და არგუმენტირებული შეფასებების საფუძველზე კომპიუტერული მეცნიერებების თანამედროვე ინოვაციური მიდგომებით ახდენს სხვადასხვა დარგების პრობლემების გადაჭრის გზების დასახვას, რაც სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების საშუალებას იძლევა;
- აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დასაბუთებულად და არგუმენტირებულად წარმოაჩენს კომპიუტერული მეცნიერებების სფეროში არსებულ უახლეს ცოდნას, აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ დარგობრივ დისკუსიებში;
- სწავლებისა და კვლევების განხორციელების გზით მონაწილეობს საუნივერსიტეტო განათლების უწყვეტ პროცესში;
- განუხრელად იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, დამოუკიდებლად გეგმავს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ სამეცნიერო-კვლევით პროცესს, შეიმუშავებს უახლეს მიღწევებზე დაფუძნებულ კვლევით პროექტს/ნაშრომს.

სწავლის შედეგების აღწერაში მოცემულია ის ცოდნა, უნარები ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობა, რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულებისას.

სწავლის შედეგების შესაფასებლად პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, სადაც მოცემულია, თუ რომელი სასწავლო კურსით პროგრამის რომელი შედეგის მიღწევა ხდება, ამავე დოკუმენტში მოცემულია თითოეული სწავლის შედეგისთვის შესაბამისი დონეები: გაცნობა - 1, გაღრმავება - 2, განმტკიცება - 3.

წარმოდგენილი პროგრამისთვის შეიმუშავებულია „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“, სადაც მოცემულია თითოეული შედეგისთვის სამიზნე ნიშნულები და ამ ნიშნულებზე გასვლის პროცედურა. ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ საკითხებში ხარისხის სამსახურთან ერთად ჩართულია აკადემიური

პერსონალი და მათთან შეთანხმებით ხდება თითოეული შედეგისთვის სამიზნე ნიშნულის და ამ შედეგის შეფასებისათვის შესაბამისი კრიტერიუმების დადგენა.

სწავლის შედეგები დეტალურადაა აღწერილი სილაბუსებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რიგ სილაბუსებში („ფუნქციონალური დაპროგრამების სპეციალური საკითხები“, „ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება“, „დაპროგრამების თეორია და მისი გამოყენებები“) სწავლის შედეგები წარმოდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის N 120/ნ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.

სწავლის შედეგების შეფასების გამოყენებით პროგრამის გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“, სადაც მოცემულია პროგრამის შედეგების შეფასების მეთოდები და პერიოდულობა.

პროგრამაში წარმოდგენილია დამსაქმებელთა გამოკითხვის კვლევა და ანალიზი, რომელიც ჩატარდა 2021 წლის ბოლოს, რომელიც მიზნად ისახავდა დამსაქმებელთა მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის შესწავლას. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ დამსაქმებლები კმაყოფილნი არიან კურსდამთავრებულთა განათლების დონით და მზად არიან დაასაქმონ ისინი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს დამსაქმებელთან შეხვედრა არ განხორციელებულა და პირადად არ მომხდარა ინფორმაციის გადამოწმება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები - კომპიუტერული მეცნიერებები;
- ინტერვიუს შედეგები;
- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი და შესაბამისი ინფორმაცია;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები (დამტკიცებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილება #05/01 – 20, 20.04.2012).

რეკომენდაციები:

სილაბუსებში („ფუნქციონალური დაპროგრამების სპეციალური საკითხები“, „ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება“, „დაპროგრამების თეორია და მისი გამოყენებები“) წარმოდგენილი სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N 69/ნ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი მიყვება ზოგადად მიღებულ წესებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული მეცნიერებები“ ჩარიცხვასთან დაკავშირებით. მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. პროგრამაზე მოსახვედრად მსურველს უნდა გააჩნდეს მაგისტრის ხარისხი, ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი ინფორმატიკაში ან მათემატიკაში ან ასევე დიპლომი ინჟინერიის სხვადასხვა მიმართულებით, ამ შემთხვევაში ადაწვეტილებას იღებს მიმღები კომისია;

ასევე დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ–ერთი ევროპული უცხო ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B2 დონეზე ცოდნა. დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტში მითითებულია, რომ კანდიდატმა უცხო ენის გამოცდა უნდა ჩააბაროს B2 დონის შესაბამისი სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში, ასევე დანართ 1-ში წარმოდგენილია B2-დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ქულების ნუსხა, მაგრამ ეს ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი კანდიდატისთვის. სასურველია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და სხვა წყაროებში განთავსდეს ინფორმაცია, რომ უცხო ენაში საკმარისია B2-დონის შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენა და განთავსდეს შესაბამისი ნუსხა.

დოქტორანტმა უნდა გაიაროს გასაუბრება სპეციალობაში მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დარგობრივ კომისიასთან; მაგრამ მისაღები გასაუბრების ფორმატი არ არის განსაზღვრული (გასაუბრებისას სტუდენტებმა აღნიშნეს რომ მათ საერთოდ არ გაუვლიათ გასაუბრება). რეკომენდებულია ზუსტად განისაზღვროს გასაუბრების ფორმატი და მიეცეს მას სავალდებულო სახე.

ასევე პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხონ მობილობის წესით უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

დარგის შესაბამისად დაკონკრეტდეს ის კომპეტენციები რომელიც საჭიროა პროგრამაზე სტუდენტების მისაღებად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი
- ინფორმატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულება
- ინტერვიუები
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია ზუსტად განისაზღვროს გასაუბრების ფორმატი და კომპეტენციები დარგის შესაბამისად და მიეცეს მას სავალდებულო სახე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>„კომპიუტერული მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამა შედგენილია სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის, დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება მიზნებს და სპეციფიკას, სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულადაა დალაგებული, პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. საგანი კურსები დეტალურად არის აღწერილი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სათანადოა, სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს, სწავლის</p>

ხანგრძლივობაა არანაკლებ სამი წელი. რომელიც მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს, სემინარებს, პროფესორის ასისტენტობას. სამეცნიერო კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობას და საჯარო დაცვას. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - ინფორმატიკის დოქტორი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება უნდა დაემატოს ძირითად საგნებში. სილაბუსების ნაწილს არ გააჩნია წინაპირობები. საგნებში პროგრამული უზრუნველყოფის თანამედროვე კონცეფციები, ფორმალური ენები და გრამატიკები, ფუნქციონალური დაპროგრამების სპეციალური საკითხები, საჭიროა დაპროგრამების ენების საფუძვლიანი ცოდნა, რეკომენდებულია გასწორდეს წინაპირობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ვიზიტი დაწესებულებაში
- პროგრამის სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი
- ინტერვიუს შედეგები
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია საგნის, ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება, ძირითად საგნებში გადატანა

რეკომენდირებულია სილაბუსებში გასწორდეს წინაპირობები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებები“-ს სადოქტორო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს; თითოეულ საგანმანათლებლო კომპონენტს მინიჭებული აქვს 6 კრედიტი რომელიც ეხმარება სტუდენტებს უკეთ დაგეგმონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლასწავლების მეთოდები (ლექცია, სემინარი, ლაბორატორული, სამუშაო ჯგუფი და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; კურსების სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს შემდეგი ფაქტორები: სწავლის შედეგების შესაბამისობა კურსების მიზნებთან და შინაარსთან, სწავლება და სწავლების შეფასების მეთოდოლოგია, შესაფერისი მოცულობის შესაბამისი ლიტერატურა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსით დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. თითოეული სასწავლო შედეგის მიღწევა ფასდება შესაბამისი შეფასების მეთოდებითა და კრიტერიუმებით, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი შესაბამის სილაბუსებში. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება 100 ქულიანი სისტემით და ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა უმეტესწილად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსების ნაწილში მოძველებულია ლიტერატურა, რეკომენდებულია განახლდეს ლიტერატურა. საგანი ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება საბაკალავრო პროგრამის დონის საგანია, რეკომენდებულია მოხდეს მისი მოყვანა სწავლების მესამე დონის შესაბამისად, ასევე ამავე საგანში სილაბუსში კრიპტოგრაფია ისწავლება FOCT P სტანდარტით, რაც რეკომენდებულია შეიცვალოს, ვინაიდან ეს სტანდარტი გამოიყენება მხოლოდ რუსეთში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდირებულია საგნის, ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება, სწავლების მესამე საფეხურის შესაბამისობაში მოყვანა • საგანი ინფორმაციის გადაცემა და უსაფრთხოება უნდა ისწავლებოდეს NIST სტანდარტით • რეკომენდებულია სილაბუსებში განახლდეს ლიტერატურა
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო პროგრამა ხელს უწყობს სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების გაღრმავებას. ამ მიზნით გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა“ და „აკადემიური წერის - სადისერტაციო/სამეცნიერო ნაშრომის მომზადების“ სასწავლო</p>

კურსი. სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარების მიზნით კი გათვალისწინებულია სემინარები და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები უნდა იქნეს გამოქვეყნებული არანაკლებ სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით რეფერირებად და რეცენზირებად გამოცემებში. დოქტორანტმა უნდა გააკეთოს მოხსენება ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე მაინც, რაც დისერტაციაზე დაშვების წინაპირობაა. ასევე დოქტორანტი ვალდებულია პროფესორს გაუწიოს ასისტენტობა, რომლის ფარგლებში დოქტორანტი ასისტენტოვას უწევს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში.

სადისერტაციო საბჭოს წევრების მიერ დისერტაციის დასკვნითი შეფასება ხდება ინდივიდუალურად, 100-ქულიანი სისტემით. შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი;

ასევე გათვალისწინებულია დოქტორანტის პროგრესის პერიოდული შეფასება მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. სადისერტაციო ნაშრომების დაცვა ხდება უმაღლეს სასწავლებელში არსებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლის/შემფასებლების მონაწილეობა, სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები
- სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში
- სადოქტორო ნამუშევრები
- 2022_გამოკითხვა_შეფასება და ანალიზი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე, სასწავლო კომპონენტის ცალკეული სასწავლო კურსის, ცალკეული კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლა/სწავლების სხვადასხვა მეთოდი: ლექცია, სამუშაო ჯგუფი, დამოუკიდებელი მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა და სხვ. სწავლების მეთოდების შერჩევას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი, კერძოდ, თუ რა უნდა იცოდეს, რა დონეზე და რისი გაკეთება უნდა შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება მეთოდები: ვერბალური, ახსნა-განმარტებითი, შემთხვევის ანალიზი, ანალიზი, დემონსტრირება, დისკუსია, პრეზენტაცია და წერითი გამოკითხვა/საკონტროლო წერა, თვალსაჩინოებათა დემონსტრირება და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სილაბუსები
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- გამოკითხვის შედეგები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. შეფასების სისტემა და შეფასებასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციები ნათლადაა გაწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებთან. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.</p> <p>სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად: სტუდენტის სასწავლო კურსებში სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას; შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (0-100 ქულა) 0-60 ქულა განკუთვნილია შუალედური შეფასებებისათვის, ხოლო 0-40 ქულა - დასკვნითი შეფასებისათვის.</p> <p>პროგრამის შემადგენელ კურსის სილაბუსებში შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს</p>

შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით. აღსანიშნავია, რომ კურსის სილაბუსები გამოირჩევა ერთგვაროვანი შეფასების ფორმებებით.

დაწესებულება ზრუნავს პერსონალის აკადემიური განვითარებისთვის. წარმოდგენილია პერსონალის განვითარების ღონისძიებები სადაც ვხდებით შეფასების მეთოდების სფეროში უნარების განვითარების საჭირო ტრეინინგებს, რომელიც გასულ წლებში განხორციელდა. ამავდროულად, რადგან დაწესებულება გასაუმჯობესებელ მხარეებში თვლის შეფასების კომპონენტებისა და მეთოდების გამრავალფეროვნებას და თანამედროვე მეთოდების გამოყენების გაზრდას, შესაბამისად სასურველია დაიგეგმოს აკადემიური პერსონალისათვის შეფასების თანამედროვე მეთოდების სასწავლო ტრეინინგები და სასწავლო კურსებში გაუმჯობესდეს შეფასების მეთოდების და კომპონენტების ნაწილი.

სსუ-ში სადოქტორო საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განსაზღვრავს დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობები, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა.

დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ იგი გაეცნო დისერტაციას და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა დასკვნაში უნდა აღნიშნოს, რომ მისი დისერტანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. ზემოაღნიშნული, ასევე, უნდა დასტურდებოდეს სსუ-ს მიერ შექმნილი სპეციალური კომპიუტერული პროგრამის დასკვნის საფუძველზე, სსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერება და ანტიპლაგიატის პრევენცია დარეგულირებულია შესაბამისი დოკუმენტით. უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებას აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში შექმნილი ყველა სადოქტორო, სამაგისტრო ნაშრომი, სადოქტორო საფეხურზე შექმნილი კვლევები და ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები სავალდებულო წესით მოწმდება სპეციალურ ანტიპლაგიატის პროგრამაზე.

დოქტორანტის მიერ სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, სადაც განსაზღვრულია შემდეგი წინაპირობები: დოქტორანტი აკეთებს მოხსენებას ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე მაინც, რაც დასტურდება შესაბამისი პროგრამით/კონფერენციის მასალებით. ასევე, დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომი სადოქტორო დისერტაციის თემაზე უკვე დაიბეჭდა ან მიღებულია დასაბეჭდად იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში, ან რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings), რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით. პროგრამის განვითარებისა და დოქტორანტების კვლევების საერთაშორისო დონეზე წარმოსადგენად, რეკომენდირებულია დოქტორანტმა ერთი სამეცნიერო სტატია გამოაქვეყნოს გამოცემაში, რომელიც ინდექსირებულია (Scopus ან Web of science) საერთაშორისო ბაზებში.

დისერტაციის დაცვა ხორციელდება სადისერტაციო საბჭოზე, დისერტაციის დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია ამის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე. სადისერტაციო საბჭო/საბჭოები შედგება შესაბამისი დარგის/სპეციალობის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისგან. მათ გარდა, სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის/სპეციალობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები საქართველოს და/ან უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებიდან.

სადისერტაციო საბჭოს წევრების მიერ დისერტაციის დასკვნითი შეფასება ხდება ინდივიდუალურად, 100-ქულიანი სისტემით:

- | | | |
|---|---|-------------------------|
| დასმული პრობლემის აქტუალურობა და კვლევის მიზანი | - | მაქსიმუმ 20 ქულა |
| პრობლემის იდენტიფიცირება, ანალიზის სიღრმე, კვლევის მეთოდოლოგია და ხარისხი | - | მაქსიმუმ 20 ქულა |
| ინფორმაციის გამოყენების ეფექტურობა | - | მაქსიმუმ 15 ქულა |
| უცხოური გამოკვლევების ჩართულობის ხარისხი | - | მაქსიმუმ 15 ქულა |
| შედეგები და დასკვნები | - | მაქსიმუმ 20 ქულა |
| პრეზენტაციის ტექნოლოგია და კონტაქტი აუდიტორიასთან | - | მაქსიმუმ 10 ქულა |
- დისერტაციის შეფასებისათვის სადისერტაციო საბჭოს მიერ არჩეულ ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული.

სსუ-ში შუალედური და დასკვნითი გამოცდების წერითი კომპონენტის ჩატარებას

უზრუნველყოფს ერთიანი საგამოცდო ცენტრი, რომლის დებულებითაც განსაზღვრულია გასაჩივრების სისტემა, რაც ითვალისწინებს საპრეტენზიო კომისიების შექმნას სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წამომადგენელთან დასმულ შეკითხვაზე თუ ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად?, ექსპერტებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ ამ ეტაპზე მსგავსი ღონისძიება არ განხორციელებულა, მაგრამ იგეგმება შემდგომი ეტაპისთვის. შესაბამისად, რეკომენდირებულია განხორციელდეს შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის ვიზიტის გასაუმჯობესების შედეგები.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში სადოქტორო პროგრამა - „კომპიუტერული მეცნიერებები“.
- ტუდენტთა/კურსდამთავრებულთა /დამსაქმებელთა/ პერსონალის გამოკითხვის შედეგები და ანალიზი კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა.
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- 2021_სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ფაკულტეტის ვებგვერდი <https://www.sou.edu.ge/content/4/73/0/0/0>
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- აკადემიური კეთილსინდისიერება_ანტიპლაგიატის პრევენციის დოკუმენტი
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისადისერტაციო ნაშრომის სილაბუსი/ გეგმა
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია დოქტორანტმა ერთი სამეცნიერო სტატია გამოაქვეყნოს გამოცემაში, რომელიც ინდექსირებულია Scopus ან Web of science საერთაშორისო ბაზებში.
- რეკომენდირებულია განხორციელდეს შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია დაიგეგმოს აკადემიური პერსონალისათვის შეფასების თანამედროვე მეთოდების სასწავლო ტრენინგები და სასწავლო კურსებში გაუმჯობესდეს შეფასების

მეთოდების და კომპონენტების ნაწილი.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან

დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და სწავლების პროცესის სათანადოდ განხორციელებაა უზრუნველყოფილი. დაწესებულების პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. კურსის სილაბუსებში გაწერილია სტუდენტთა საკონსულტაციო საათები.

განსახორციელებელი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება როგორც ელ.ფოსტის, ასევე სოციალურ ქსელებში არსებული ოფიციალური გვერდებისა და სხვადასხვა ჯგუფების მეშვეობით. სტუდენტებისა და თანამშრომლების დროული ინფორმირების მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია მოკლექსტური შეტყობინებების გაგზავნის სერვისი. მოქმედებს სტუდენტური პორტალი StudLab-ი - სტუდენტთა მართვის ბაზა, რომლის პროგრამული უზრუნველყოფა პროგრამის კურსდამთავრებულთა შექმნილია.

ფაკულტეტი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტების კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, ასევე საკუთარი სტუდენტების დასაქმებას ადგილზე, რომლის მრავალი პრეცედენტი არსებობს.

დამსაქმებელი კერძოდ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი მონაწილეობას იღებდა თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის პროცესში, მაგრამ სამწუხაროდ ვიზიტის დროს მასთან გასაუბრება ვერ მოხერხდა. დაწესებულებას ჩატარებული აქ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა /დამსაქმებელთა/ პერსონალის გამოკითხვის შედეგები და ანალიზი, სადაც დამსაქმებლები(2 დამსაქმებელი) აღნიშნავენ კმაყოფილებას კურსდამთავრებულთა განათლების დონით და პროგრამით მიღებული ცოდნა და სამეცნიერო-კვლევითი უნარები, აკადემიური ხარისხი სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა სახის სამეცნიერო პროექტებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროცესებსა და ა. შ. ასევე, დამსაქმებლების ანგარიშში წარმოდგენილია მზაობა სამეცნიერო ცენტრების, რომ დაასაქმონ ინფორმატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მწირი დაფინანსების გამო, დაბალი ხელფასებიდან გამომდინარე კურსდამთავრებულები უპირატესობას ანიჭებენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

სტუდენტები და კურსდამთავრებულები ჩართული იყვნენ თვითშეფასების ჯგუფის მუშაობაში და მათი ინიციატივით პროგრამას დაემატა 4 ინგლისურენოვანი კურსი.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში ნაჩვენებია სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის

მაჩვენებელი (მაგ: სამეცნიერო ნაშრომები, კონფერენციები, გამოფენები, პრაქტიკა და ა.შ.), კერძოდ: სამეცნიერო ნაშრომები - 22 კონფერენციები - 14. აღნიშნულ იქნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკრაინულ უნივერსიტეტებთან და ვინიცას ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც ჩართული იყვნენ აღნიშნული პროგრამის სტუდენტები. ასევე, გასაუბრებას ესწრებოდა, პროგრამის კურსდამთავრებული, ასისტენტ პროფესორი რომელიც იმყოფებოდა კვლევითი საერთაშორისო მობილობით პოზნანის ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას მრავალი საერთაშორისო საერთაშორისო პარტნიორი და გაცვლითი ERASMUS+ პროგრამა აქვს, ვიზიტის დროს გასაუბრებებში ჩართული არცერთ სტუდენტს და 3 კურსდამთავრებულს არ უსარგებლიათ საერთაშორისო მობილობით. დაზუსტებისათვის და მეტი სიცხადისთვის ექსპერტების მიერ ვიზიტის დღეს გამოთხოვილ იქნა სხვადასხვა პროექტებისა და მათში ჩართული სტუდენტების სტატისტიკური მონაცემები(კონკრეტული პროექტები/კონფერენციები/საერთაშორისო მობილობა), რაც სამწუხაროდ დაწესებულების მიერ მოწოდებულ არ იქნა, შესაბამისად სასურველია გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო პროექტებში, ასევე განხორციელდეს აღნიშნული აქტივობების დოკუმენტირება.

როგორც გამოკითხვებიდან, ასევე ვიზიტის დროს გასაუბრებისას გამოიკვეთა სტუდენტების და კურსდამთავრებულების დამოკიდებულება სადოქტორო პროგრამის მიმართ, რომელიც პოზიტიურია. ისინი კმაყოფილი არიან სწავლების ხარისხით, პროფესორ-მასწავლებელთა დონით, სწავლების მეთოდებით, სტუდენტური სერვისებით. ბიბლიოთეკის მომსახურებით. ასევე, ბოლო პერიოდის გაუმჯობესებებით, კერძოდ: გარემონტდა სასწავლო კორპუსები, აუდიტორიები. გაუმჯობესდა მატერიალურ ტექნიკური ბაზა. სტუდენტების თქმით, ისინი პრაქტიკაში აქტიურად იყენებენ უნივერსიტეტში მიღებულ თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევითი კომპონენტების ცოდნას. ამავდროულად აღნიშნულ იქნა საჭიროება ინგლისურენოვან წიგნებზე წვდომის, ასევე კვლევითივს საჭირო სხვადასხვა სამეცნიერო ბაზებზე წვდომის საჭიროება, შესაბამისად ექსპერტების მიერ დასკვნის პროექტის მატერიალური რესურსის ნაწილში გაცემულ იქნა რეკომენდაციები.

ექსპერტებისთვის ცნობილი იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არსებული პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღია 2022 წლის 4 აპრილი, შესაბამისად სტუდენტებს შეჩერებული აქვთ სტატუსი. ინფორმაციის დასაზუსტებლად გასაუბრებისას ექსპერტების მიერ დასმული იყო კითხვა თუ ჰქონდათ სტუდენტებს(2 სტუდენტი) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პროგრამის აკრედიტაციის ვადა არის გასული, რაზეც სტუდენტებმა განაცხადეს რომ იციან ამის შესახებ, მაგრამ მათ არ ჰქონდათ გათვითცნობიერებული, რომ მათ სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვთ. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული ორი სტუდენტი სადოქტორო კვლევის ეტაპზეა და მათ გავლილი აქვთ პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო სასწავლო კურსები. ინფორმაციის დასაზუსტებლად ექსპერტებმა თხოვეს დამატებითი შეხვედრა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, სადაც მან დააზუსტა აღნიშნული საკითხი და აღნიშნა, რომ ის სტუდენტები რომლებიც უშალოთ გადიან სასწავლო კურსებს გაფრთხილებულ იყვნენ პროგრამის სტატუსის შეჩერების შესახებ, ნაწილმა სტუდენტების თვითონ შეიჩერა სტატუსი, ხოლო ნაწილს ავდომატურად შეუჩერდა სტატუსი. ხოლო ის სტუდენტები, ვინც

უშაულოდ სადისერტაციო ნაშრომის წერის პროცესშია, არ გამოცხადდნენ შეხვედრაზე. ამიტომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით. რეკომენდირებულია სტუნტებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება და ცვლილების შესახებ სტუდენტების წერილობითი სახით ინფორმირება.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მრავალმხრივ განვითარებას, ახალისებს მათ კრეატიულ და ინოვაციურ იდეებს და ხელის უწყობს სტუდენტების შესაძლებლობების წარმოჩინებას, ამისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; სტუდენტური თვითმმართველობა; საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათმორისი კავშირების სამსახური; სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური; უცხო ენების ცენტრი.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას. კვლევითი მიმართულებით ფაკულტეტების დონეზე აკადემიური პერსონალს თუ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს თანადაფინანსება სტატიის ან კვლევითი ნაშრომის მაღალრეიტინგულ ჟურნალში დასაბეჭდად, რისთვისაც იგი წერს განცხადებას რაც დეკანატის დონეზე განიხილება. დეკანი ითხოვს დაფინანსებას და წარადგენს სარეკომენდაციო წერილს აღნიშნული დაფინანსების მოსაპოვებლად. სამწუხაროდ აღნიშნული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ იქნა, შესაბამისად, სასურველია წახალისდეს სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობა სტუდენტთა სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობით და გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის ვიზიტის გასაუბრების შედეგები.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში სადოქტორო პროგრამა - „კომპიუტერული მეცნიერებები“.
- No 13 საფაკულტეტო საბჭოს ოქმი_თვითშეფასების ჯგუფი.
- ტუდენტთა/კურსდამთავრებულთა /დამსაქმებელთა/ პერსონალის გამოკითხვის შედეგები და ანალიზი კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა.
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა.
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- 2021_სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ფაკულტეტის ვებგვერდი <https://www.sou.edu.ge/content/4/73/0/0/0>
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია სტუნტებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება და ცვლილების შესახებ სტუდენტების წერილობითი სახით ინფორმირება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო პროექტებში, ასევე განხორციელდეს აღნიშნული აქტივობების დოკუმენტირება.

სასურველია წახალისდეს სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობა სტუდენტთა სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობით და გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე აღნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რაც დასტურდება წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის მონაცემებით და მათი მიღწევებით(CV/პუბლიკაციები/შრომები). დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები. სადოქტორო პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა. ასეთ შემთხვევაში, მოწვეული პირის გარდა, სადოქტორო პროგრამას ასევე უნდა უხელმძღვანელოს სსუ-ს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესორმა ან

ასოცირებულმა პროფესორმა; ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ინფორმატიკის სადისერტაციო საბჭო.

დოქტორანტებთან და დოქტორანტურის პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას განსაკუთრებით აღინიშნა ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა კვლევის პროცესში. ისინი რეგულარულად იღებდნენ კონსულტაციებს დისერტაციის შესრულების პროცესში, ხელს უწყობენ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართულობას და მონაწილეობენ სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების პროცესში.

ჩარიცხვამდე მომავალი დოქტორანტები გადიან გასაუბრებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის დარგობრივ კომისიასთან, სადაც დგინდება დოქტორანტობის მსურველის დარგობრივი კომპეტენცია.

ჩარიცხვის შემთხვევაში დოქტორანტს შეუძლია შეარჩოს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- სისტემური პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა;
- ხელოვნური ინტელექტუალური სისტემები
- ბუნებრივი ენების დამუშავების მეთოდები;
- ხელოვნური ენის შექმნა და რეალიზაცია პრობლემათა გარკვეული კლასისათვის;
- ICT განვითარების ტენდენციები სწავლებაში;
- ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა;
- ICT ბიზნესში;

რომლის ფარგლებში დოქტორანტს შეეძლება სადოქტორო დისერტაციის თემის შერჩევა და შესაბამისი კომპეტენციის ხელმძღვანელის არჩევა.

დოქტორანტები ხელმძღვანელებთან ერთად განსაზღვრავენ დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმას, რის შედეგადაც იგეგმება შეხვედრები და შესაბამისი აქტივობა, ხოლო სემესტრის ბოლოს სრულდება გეგმის შესრულების ანგარიში.

დოქტორანტების და კურსდამთავრებულების მიერ აღინიშნა ხელმძღვანელების ყოველმხრივი ხელშეწყობა, რომ დოქტორანტებმა შეძლონ მათთვის საჭირო სხვადასხვა საკითხებში გათვინობიერება, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის ვიზიტის გასაუბრების შედეგები.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში სადოქტორო პროგრამა - „კომპიუტერული მეცნიერებები“
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

<ul style="list-style-type: none"> ○ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი; ○ ინფორმატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულება; ○ პერსონალის CV; ○ დაცული დისერტაციები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის სასწავლო შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებისათვის დასტურდება პროგრამაზე დართული პირადი საქმეებით, გამოცემული სამეცნიერო სტატიებით, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობით. აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვა მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ასევე საკონსულტაციო დატვირთვას.

პროგრამის განხორციელებაში უშუალოდ არის ჩართული 1 პროფესორი 4 ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ პროფესორი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას საგნების გადანაწილებიდან გამომდინარე (ძირითადი, არჩევითი). პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 5 სტუდენტს, რაც ადეკვატურია პროგრამაში არსებული აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან მიმართებაში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სათანადო რაოდენობის და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: ფაკულტეტის, ბიბლიოთეკის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მომუშავე შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და

<p>შეუფერხებელ განხორციელებას.</p> <p>პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი. მათი ცოდნა და გამოცდილება შესაბამისია პროგრამის შემუშავებისა და მართვის საჭიროებებთან, რაც დასტურდება პროგრამაზე თანდართული პირადი საქმეებით. მათი ავტორობით გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნაშრომები და მონაწილეობა აქვთ მიღებული არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები ანაზღაურების გარეშე ახორციელებენ საქმიანობას. ასევე, აღსაღნიშნავია, რომ აღნიშნული პირები ხელმძღვანელობენ საბაკალავრო და სამიგისტრო პროგრამებს. სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელს დაენიშნოს ანაზღაურება ან ჩაეთვალოს დატვირთვაში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ პირადი საქმეები;
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უდს-ში არსებობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი და ინდივიდუალური დატვირთვის სქემა, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების პირობებს, კრიტერიუმებსა და პროცედურებს. პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის და კვლევის ხარისხობრივი შეფასების მიზანია, პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა და ამღლება, პერსონალის მოტივაციისა და შრომითი ნაყოფიერების გაზრდა.

აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტი სისტემატურად ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. მუდმივად ხდება პერსონალის ინფორმირება სამეცნიერო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები. აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული არაერთ ადგილობრივ საგრანტო პროექტებში.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის განვითარების ხარჯები: სამეცნიერო მივლინება უცხოურ უნივერსიტეტებში, სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების დაფინანსება/თანადაფინანსება, კონფერენციებში მონაწილეობა, სახელმძღვანელოს დაფინანსება.

უსდ-ში ფუნქციონირებს წესდებით გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის (5 წელიწადში ერთხელ) 6 თვიანი სამეცნიერო შვებულება/მივლინება, ხელფასის სრული შენარჩუნებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის წესდება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი;
- ინდივიდუალური დატვირთვის სქემა;

<ul style="list-style-type: none"> • ინტერვიუს შედეგები; • პირადი საქმეები; • საერთაშორისო თანამშროლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.3 მატერიალური რესურსი</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ბიბლიოთეკა ღიაა კვირაში 6 დღე და მისი სამკითხველო სივრცე აღჭურვილია დამოუკიდებლად მუშაობისთვის, გააჩნია როგორც ინდივიდუალური, ასევე, ჯგუფური შეხვედრების ოთახი, კომპიუტერული ტექნიკა, რაც ხელმისაწვდომია მათ შორის მოცემული სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის.</p>

პროგრამის სასწავლო კომპონენტის სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის უმრავლესობა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი არ არის ბიბლიოთეკაში. ინტერვიუს დროს სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სასწავლო მასალებს უშუალოდ კურსის ხელმძღვანელისგან იღებენ ელექტრონული ფორმატით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრაქტიკა არ შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, შესაბამისად, რეკომენდირებულია სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო ლიტერატურის, მინიმუმ ერთეულ ასლად არსებობდეს ბიბლიოთეკაში, ნაბეჭდი ან ელექტრონული ვერსია (საავტორო უფლებების დაცვით და არა პირატული ვერსიები).

ბიბლიოთეკის ვებ-გვერდიზე განთავსებულია ინფორმაცია ისეთ სამეცნიერო ბაზებზე, როგორც არის - Clarivate Analytics; Project Muse, Emerald, Proquest და სხვა. ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე ვიზიტისას შეეცადა გადაემოწოებინა აღნიშნული ბაზები ხელმისაწვდომია თუ არა სტუდენტებისთვის. როგორც გაირკვა არცერთი შემთხვევა დასახელებული სამეცნიერო ბაზა არ არის ხელმისაწვდომი.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა თუ რომელ კონკრეტულ სამეცნიერო ბაზებს გამოიყენებს აღნიშნული პროგრამის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, საპასუხოდ დადგინდა, რომ ძირითად შემთხვევებში სტუდენტებს სამეცნიერო ლიტერატურას მათივე ხელმძღვანელები აწვდიან (სტუდენტებმა დაადასტურეს აღნიშნული ინტერვიუების დროს).

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა რამდენად ინფორმირებულები არიან სტუდენტები ბიბლიოთეკაში არსებული სერვისების შესახებ, როგორც ინტერვიუებმა აჩვენა, სტუდენტები ბიბლიოთეკას ნაკლებად მიმართავენ, რადგან პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო არ უხდებოდათ უნივერსიტეტში სიარული, რაც შეეხება სასწავლო მასალას, ან სამეცნიერო წყაროებს ამას უშუალოდ მათი ხელმძღვანელი, ან კონკრეტული სასწავლო კურსის ხელმძღვანელი აწვდიდათ.

მოცემული სურათის გათვალისწინებით, იმისთვის რომ პროგრამის სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევა იყოს რეალური, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ინსტიტუციამ უზრუნველყოს წვდომა იმ ტიპის სამეცნიერო ბაზებზე (სტატიების სრული ტექსტებით), რომელიც განკუთვნილია მსგავსი ან მომიჯნავე დისციპლინისთვის. რეკომენდირებულია საინფორმაციო სახის შეხვედრების გამართვა სადოქტორო საფეხურის სტუდენტებთან, უშუალოდ სამეცნიერო ბაზების გამოყენების მიმართულებით, მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ვიზიტის განხორციელების დროს ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა ადგილზე გადაემოწმებინა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება. დათვალიერების შედეგ დადგინდა, რომ მიმდინარე წელს დასრულდა იმ შენობა ნაგებობის სარემონტო სამუშაოები, სადაც აღნიშნული პროგრამა ხორციელდება, კერძოდ, გარემონტდა სასწავლო აუდიტორიები, სველი წერტილები, დერეფნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტში განხორციელებული ვიზიტი

<ul style="list-style-type: none"> • ინტერვიუს შედეგები • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდირებულია სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის მინიმუმ ერთეულ ასლად არსებობა ბიბლიოთეკაში (არა პირატული ვერსიები); • რეკომენდირებულია სასწავლო პროგრამის მიმართულების მიხედვით რელევანტური სამეცნიერო ბაზაზე წვდომის უფლების შეძენა, რომ დარგში არსებული სამეცნიერო პუბლიკაციები ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის და აკადემიური პესონალისთვის; • რეკომენდირებულია ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს ტრენინგების (ინფორმაციის მოძიება; წყაროების სანდოობის შეფასება; აკადემიური სტილის საკითხები) მომზადების და შეთავაზების მიმართულებით, როგორც სტუდენტებთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის "კომპიუტერული მეცნიერებების" სადოქტორო პროგრამას გააჩნია საკუთრი ბიუჯეტი. უნივერსიტეტმა წარმოადგინა, როგორც ფაკულტეტის ასევე ბიუჯეტი და პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოზე და გათვალისწინებული იქნება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში. ფაკულტეტის ბიუჯეტში მკაფიოდ და დეტალურად არის ჩაშლილი ყველა არსებითი და მნიშვნელოვანი ხარჯები. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი;</p> <p>ინტერვიუს შედეგები.</p>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ პროგრამის შემუშავებისას შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახური და უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლები. ინტერვიუების დროს, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისა, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავებაში თანაბრად იყო ჩართული, როგორც აკადემიური, ასევე, ადმინისტრაციული პერსონალი.</p> <p>თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა და ინტერვიუების დროს, დაწესებულების მხრიდან რამდენჯერმე გაიჟღერა, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“. პროგრამასთან მიმართებაში, ინსტიტუცია უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის გამოკითხვას. მოცემულ საანგარიშო პერიოდში ეს ხორციელდებოდა ნაბეჭდ ფურცლებზე, თუმცა უკანასკნელი გამოკითხვა ელექტრონულ ფორმატში ჩატარდა. როგორც ინსტიტუციის წარმომადგენლები განმარტავენ, ამ გამოკითხვების ანალიზი და მის საფუძველზე ინტერვენციები არ განხორციელებულა. ცხადია, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა რა გახდა ამის მიზეზი, რის საპასუხოდ ინსტიტუციამ განმარტა, რომ პანდემიის პირობებში ბევრი სხვადასხვა აქტივობის შესრულების ფონზე, ეს საკითხი ყურადღების მიღმა დარჩა, თუმცა აქვე გამოითქვა მზაობა, რომ სამომავლოთ ეს მიმართულება გაძლიერდეს.</p> <p>ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა ხდებოდა თუ არა სტუდენტების გამოკითხვა წიანასწარ</p>

განსაზღვრული სიხშირით, რის საპასუხოდაც ინსტიტუციამ განმარტა, რომ კონკრეტულად ამ პროგრამის სტუდენტების გამოკითხვა ჯერჯერობით არ განხორციელებულა, ამის მიზეზად სახელდება სტუდენტების დაბალი რაოდენობა (სტატისტიკურ მოქმედებები შეუძლებელია 1-2 ერთეულზე). ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მიუხედავად სტუდენტების მცირე რაოდენობისა, აუცილებელია მათი მხრიდან პროგრამის/სასწავლო კურსების შეფასება (შესაძლებელია ეს იყოს არა რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი შეფასება), ხოლო აკადემიური პერსონალის გამოკითხვების შემთხვევაში, აუცილებელია მიღებული შედეგების გათვალისწინება და სამომავლო აქტივობების დაგეგმვა.

მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ საანგარიშო პერიოდში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჭრილში პროგრამის შეფასება განხორციელდა სპეციალურად ამ მიზნისთვის შერჩეული აკადემიური პერსონალის მიერ, ასევე, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის მართვის სამსახურის მიერ, მიღებული შედეგების გათვალისწინება მოხდა თვითშეფასების ჯგუფის თანხმობით. ერთ-ერთი ცვლილება რაც მოცემულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა უკავშირდება სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც უნივერსიტეტში მანამდე არ არსებობდა და სწორედ, მოცემულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მისი დანერგვა და პროცესების შესაბამისად დაგეგმვა.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, მოცემულ პროგრამას აკრედიტაციის ვადა ამოწურა 2022 წლის 4 აპრილს. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, თუ რა გახდა მიზეზი იმისა, რომ ვერ მოხერხდა პროგრამის განხორციელების უწყვეტობის შენარჩუნება. ინსტიტუციის მხრიდან აღნიშნულის მიზეზად დასახელდა ის, რომ კლასტერული აკრედიტაციის პროცესით განპირობებული ცვლილებების გამო პროგრამის რეაკრედიტაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება დაგვიანდა, რამაც განაპირობა აკრედიტაციის ვადის ამოწურვა. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს შეუჩერდათ სტატუსი იმ პირობით, რომ პროგრამის რეაკრედიტაციის შემდეგ აღუდგებათ აქტიური სტატუსი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდირებულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა აქტიურად აწარმოოს პროგრამის ვადების მონიტორინგი, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების კუთხით, რათა პროგრამაზე სწავლების უწყვეტობა იქნას შენარჩუნებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების მექანიზმები
- ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასებები
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების დოკუმენტი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა აქტიურად აწარმოოს პროგრამის ვადების მონიტორინგი, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების კუთხით, რათა პროგრამაზე სწავლების უწყვეტობა იქნას შენარჩუნებული.
- რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ბოლო ორი ეტაპის „შეამოწმე, განავითარე“ ეფექტურად განხორციელება, კერძოდ, აკადემიური პერსონალის გამოკითხვების/შეფასებების გათვალისწინებით შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტთა მიერ სასწავლო პროგრამის შეფასების ინსტრუმენტის დანერგვა და გამოყენება მათი რაოდენობის მიუხედავად;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია მითითებული პროგრამა მუდმივად იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს. თვითშეფასების დოკუმენტში საუბარია, რომ გარდა დამსაქმებლებისა, ინსტიტუციამ პროცესში,

ასევე, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების ჩართულობას. სასურველ ცვლილებას თავდაპირველად განიხილავს ფაკულტეტის ხარისხის სამსახური, შემდეგ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური და ამის საპასუხოდ წარედგინება აკადემიურ საბჭოს დამტკიცებისთვის. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი განმარტავს, რომ აკრედიტაციის და ინსტიტუციის ავტორიზაციის პროცესი, ასევე, წამროადგენს გარე ხარისხის მექანიზმებს, რომელსაც მოცემული პროგრამის შემუშავების და განხორციელების ეტაპზე გამოიყენებენ.

ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა ინტერვიუების დროს გადაემოწმებინა აღნიშნული. კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ ისინი მუდმივად არიან ჩართული პროგრამის განხორციელების ეტაპზე. რაც შეეხება აკრედიტაციის და ავტორიზაციის პროცესებს, ინსტიტუციამ მეტწილად შეასრულა ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის დროს მიიღო 2018 წელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროგრამის 2018 წლის აკრედიტაციის დასკვნა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მოცემულ საანგარიშო პერიოდში პროგრამის თვითშეფასები ჯგუფის ინიციატივით მოწვეულმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა განხორციელა პროგრამის გარე შეფასება. ექსპერტის დასკვნაში განსაკუთრებული პრობლემები არ იკვეთება და მთლიანობაში დადებითად არის შეფასებული პროგრამის მუშაობა. ყურადსაღებია ერთი გარემოება - გარე შეფასება განხორციელდა დარგის ექსპერტის მიერ, რომელიც ამავე სასწავლო პროგრამაზე მოწვეულა, როგორც სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით აუცილებელია მსგავსი შეფასება განხორციელდეს ისეთი პირის მიერ, ვინც არ არის ჩართული მოცემული პროგრამის განხორციელებაში.

რადგან თვითშეფასების დოკუმენტში არ არის საუბარი უცხოურ და ქართულ ანალოგიებთან მოცემული პროგრამის დადარების კუთხით, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა რა გახდა ამის მიზეზი. როგორც აღმოჩნდა, მოცემულ საანგარიშო პერიოდში გამოყენებული იქნა მხოლოდ პირადი კონტაქტები პროგრამის უცხოურ ანალოგიებთან შედარების კუთხით. ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას აძლევს რეკომენდაციას, რომ გამოიყენოს უნივერსიტეტის რესურსი საერთაშორისო თანამშრომელობის მიმართულებით და მოიძიოს უცხოური ანალოგი და/ან დარგის სპეციალისტი, რომელიც შეაფასებს პროგრამას.

ინტერვიუების დროს სტუდენტებს უჭირთ გაიხსენონ ბოლო სასწავლო სემესტრში სასწავლო კურსების და ან საუნივერსიტეტო სერვისების/ აკადემიური პერსონალის მათი მხრიდან შეფასება. ინსტიტუციის წარმომადგენლები განმარტავენ, რომ მომავალი სემესტრიდან დაიწყებენ სტუდენტების მიერ მოცემული პროგრამის სასწავლო კურსების შეფასებას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია სტუდენტთა გამოკითხვები ხორციელდებოდეს ყოველი სემესტრის ბოლოს, რათა მათ მიცეთ საშუალება, შეაფასონ როგორც ცალკეული სასწავლო კურსები, ასევე მთლიანად პროგრამა.

მოცემულ საანგარიშო პერიოდში პროგრამაში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, კერძოდ, არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა გაიზარდა, მიღების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის გამოცდა, პროგრამის კურიკულუმში დაემატა ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები. ყველა ამ ცვლილების ინიცირება განხორციელდა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ, შემდეგ წარედგინა ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს, საბოლოოდ კი აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- გარე ხარისხის შეფასების ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამის შეფასებისას, გარე ექსპერტის მოწვევის დროს გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ალბათობა;
- რეკომენდირებულია პროგრამის განხორციელების ეტაპზე ხდებოდეს სტუდენტების მიერ კონკრეტული სასწავლო კურსების შეფასება ყოველ სემესტრში, ასევე, პროგრამის შეფასება და აღწერილი შედეგების გათვალისწინება.
- რეკომენდირებულია უცხოური ანალოგიების მოძებნა და პროგრამის დადარება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი


უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

მაქსიმ იავიჩი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ნანი არაბული



გიგა ხოსიტაშვილი



დავით კაკიაშვილი

